ჯაბა მესხიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჩინეთ-ინდოეთის სასაზღვრო დავა

აბსტრაქტი

ჩინეთ-ინდოეთის სასაზღვრო დავა, XXI საუკუნის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, რომლის მშვიდობიანი მოლაპარაკებებით გადაწყვეტის გზა ჯერჯერობით არ ჩანს. ორ ქვეყანას შორის სასაზღვრო დავა უზარმაზარ ტერიტორიას შეეხება. ჩინური და ინდური მხარე სხვადასხვა ფართობს ასახელებს. ჩინური მხარის მტკიცებით, დაუდგენელი საზღვრის სიგრძე 2000 კმ. შეადგენს, ხოლო ინდური მხარე 3 488 კმ. სიგრძის საზღვარს მიიჩნევს სადავო ტერიტორიად. საზღვრის გარშემო დაძაბულობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თანდათან გამძაფრდა. ბრიტანეთის კოლონიური მმართველობიდან ახლად განთავისუფლებულმა ინდოეთმა და კომუნისტური რევოლუციით ჩინეთის სათავეში მოსულმა ხელისუფლებამ ორ ქვეყანას შორის არსებული საზღვრები ვერ დაადგინა. მათ შორის არსებული უთანხმოება, 1962 წლის 20 ოქტომბერს ჩინეთ-ინდოეთის ომში გადაიზარდა, სადაც ინდოეთი სასტიკად დამარცხდა. მას შემდეგ, დაპირისპირებულ მხარეებს შორის დაძაბულობა, პერიოდულად შეტაკებებში გადადის.

ჩინეთი და ინდოეთი ცდილობენ, სასაზღვრო პრობლემის მოლაპარაკების გზით დარეგულირების მიზნით სხვადასხვა სამშვიდობო მექანიზმები შექმნან. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით შედეგს ვერ აღწევენ. უფრო მეტიც, ორივე მხარე საზღვრის სიახლოვეს ცდილობს გაზარდოს სამხედროთა რაოდენობა და მოაწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ეს ყველაფერი კი ხელს უშლის, ბირთვული იარაღის მქონე, ორ აზიურ გიგანტ სახელმწიფოს შორის მშვიდობიან თანაცხოვრებას და არსებული პრობლემის გადაჭრას.

საკვანძო სიტყვები: *ჩინეთ-ინდოეთი, აქსაი ჩინი, არუნაჩალ პრადეში*

შესავალი

ჩინეთ-ინდოეთის სასაზღვრო დავა XXI საუკუნის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად მიიჩნევა, რომლის მშვიდობიანად გადაწყვეტის გზებიც ჯერჯერობით არ ჩანს. მსოფლიოს ორი გიგანტი, რომლებიც პირველ-მეორე ადგილს იყოფენ მოსახლეობის მხრი[1], გააჩნიათ ბირთვული შეიარაღება[2] და მსოფლიოს უდიდესი ეკომონომიკების მქონე ქვეყნების ხუთეულში შედიან[3], ვერ ახერხებენ შეთანხმების

---

[1] Country Comparisons – Population. CIA. Accessed November 25, 2024, https://www.cia.gov/the-world-factbook/field/population/country-comparison/

[2] Understanding Sino-Indian Relation – A Theoretical Perspective. The Center for International Maritime Security (CIMSEC). last modified April 28, 2016 https://cimsec.org/understanding-sino-indian-relations-theoretical-perspective/

[3] The top 10 largest economies in the world in 2024. Forbes India. last modified. November 4, 2024,

მიღწევას. ე. წ. „ფაქტობრივი კონტროლის ხაზი“, იგივე „LAC [4] თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე გრძელ, სადავო საზღვარს წარმოადგენს. [5] აღნიშნული პრობლემის გამო, მეზობელ ქვეყნებს შორის, პერიოდულად სიტუაცია უკიდურესად იძაბება. ერთ-ერთი ასეთი უკანასკნელი იყო, 2022 წლის დეკემბერში მომხდარი ინციდენტი, ბუტანთან ახლოს მდებარე დოკლამის რეგიონში, რომლის დროსაც ორივე მხრიდან რამდენიმე ჯარისკაცი დაშავდა.[6]

დაპირისპირებულ მხარეს შორის სადავო საკითხს წარმოადგენს, როგორც საზღვრის სიგრძე, ასევე სასაზღვრო ფართობი. ორივე მხარეს საკუთარი პოზიციების გასამყარებლად განსხვავებული არგუმენტები გააჩნია. ნიუ-დელი მიიჩნევს, რომ ჩინეთ-ინდოეთის სადავო საზღვრის მთლიანი სიგრძე 3488 კილომეტრს შეადგენს. [7] LAC დაყოფილია პირობით 3 სექტორად: დასავლეთის სექტორი: - 1597 კმ., შუა სექტორი: - 545 კმ., ხოლო აღმოსავლეთის სექტორი: - 1346 კმ. ინდოეთი ჩინეთს, ასევე ადანაშაულებს, რომ ქაშმირის რეგიონში დაახლოებით 38000 კმ² ფართობის ტერიტორია აქვს ოკუპირებული. სწორედ ამიტომ, აქსაი ჩინს ინდოეთის კონტროლის ქვეშ მყოფ ლადახის რეგიონის შემადგენელი ნაწილად მიიჩნევს.[8]

განსხვავებული პოზიცია უკავია ჩინეთს სახალხო რესპუბლიკას. პეკინის მტკიცებით, ჩინეთ-ინდოეთ-ის სადავო საზღვრის სიგრძე არ აღემატება 2 000 კილომეტრს. დასავლეთ სექტორი მოიცავს ყარაყორუმის მთას და დაახლოებით 600 კილომეტრის სიგრძეს შეადგენს, ხოლო სადავო ფართობს წარმოადგენს 33000 კმ² (ტერიტორიას ამჟამად ჩინეთი აკონტროლებს). პეკინის მტკიცებით, შუა სექტორის სიგრძე დაახლოებით 450 კმ.-ია, რომელშიც სადავო ფართობი 2000 კმ². აღმოსავლეთის სექტორის სიგრძეა 650 კმ., ხოლო სადავო ტერიტორიად მიაჩნია 90 000 კმ², რომელიც მათი აზრით ამჟამად ინდოეთს უკანონოდ აქვს დაკავებული. [9] ჩინურის მხარის მიხედვით, საზღვრის აღმოსავლეთი სექტორი ყველაზე რთულად გადასაწყვეტი ნაწილია, რადგან ე. წ. „მაკ-მაჰონის ხაზი“ მათი აზრით არალეგიტიმურია. სწორედ ამიტომ ჩინეთი აცხადებს პრეტენზიას ინდოეთის არუნაჩალ პრადეშის შტატზე, კერძოდ კი ბუდისტურ ქალაქ ტავანგზე, რომელიც ერთგვარი ანკლავია. პეკინი მას ტიბეტის სამხრეთ ნაწილად მიიჩნევს [10].

---

https://www.forbesindia.com/article/explainers/top-10-largest-economies-in-the-world/86159/1

[4] Line of Actual Control - LAC

[5] Thin Ice in the Himalayas: Handling the India-China Border Dispute. International Crisis Group. last modified November 23, 2023
https://www.crisisgroup.org/asia/south-asia/india-china/334-thin-ice-himalayas-handling-india-china-border-dispute

[6] China's use of drones in the Sino-Indian border dispute: a concrete example of civil-military integration
Chrome. Fondation pour la Recherche Strategique. last modified July 2023
www.frstrategie.org/sites/default/files/documents/publications/recherches-et-documents/2023/112023.pdf გვ. 4

[7] Banerjee Mayuri. ''Sino-Indian Border Dispute: A Brief Introduction". In Asian Territorial and Maritime Disputes. E-International Relations. Bristol, England. 2022, 166.

[8] Banerjee. Sino-Indian Border Dispute, 166.

[9] Sino-Indian Border Dispute

[10] India-China Border Dispute: The McMahon Line and Tawang. last modified. Centre for Land Warfare Studies (CLAWS). October 6, 2021

ისტორიული წარსული

ჩინეთ-ინდოეთ შორის ტერიტორიული საკითხის გარშემო გაურკვევლობა სათავეს XIX საუკუნიდან იღებს. ის დაკავშირებულია ცენტრალურ და სამხრეთ აზიაში დიდ ბრიტანეთსა და რუსეთის იმპერიებს შორის სტრატეგიული კონკურენციის არსებობასთან. საქმე იმაში გახლდათ, რომ დიდმა ბრიტანეთმა გადაწყვიტა ჰიმალაის მიმდებარედ მოეხდინა მის დაქვემდებარებაში მყოფ კოლონიის, ინდოეთის საზღვრის დემარკაცია. თუმცა აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მათი განზრახვისა, რეალურად წარმოდგენაც არ ჰქონდათ, თუ სად გადიოდა ინდოეთის საზღვარი. [11] 1865 წელს პირველად იყო მცდელობა დასავლეთის სექტორში სასაზღვრო ხაზი (ე.წ. „ჯონსონის ხაზი“) დაფიქსირებულიყო. ბრიტანელთა მოთხოვნების მიხედვით საზღვარი უნდა ყოფილიყო დოგრას სახელმწიფოს საზღვარზე კუნლუნის მთებამდე და მოიცავდა მთლიანად აქსაი ჩინს. თუმცა მათი მოთხოვნები რეალურად ვერ განხორციელდა. 1897 წელს ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვის დირექტორმა ჯონ არდსაგმა კვლავ წამოჭრა ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები. იგი თვლიდა რომ „ჯონსონის ხაზი“ რუსეთის წინააღმდეგ კარგ ბერკეტად შეიძლება გამოყენებულიყო. აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთის საზღვრების მიმართ დამოკიდებულებას, ნიუ-დელი დღემდე იყენებს აქსაი ჩინზე ინდურ პრეტენზიების გასამყარებლად. [12]

1865-1897 წლებში ინდოეთის ბრიტანელმა კოლონიალურმა მმართველებმა შეიმუშავეს ქაშმირის ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრის სხვადასხვა ვერსია. პირობითი საზღვარი მერყეობდა რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხეების გაანალიზების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ჩინეთი არასოდეს არ თანხმდებოდა შეთავაზებულ არც ერთ საზღვრის განმსაზღვრელ წინადადებას. 1899 წლის შემუშავებული ე. წ. „მაკ-არტნ - მაკ-დონალდის“ ხაზი იყო ერთადერთი, რომელიც ოფიციალურად შესთავაზეს პეკინს, თუმცა ცინგის დინასტიის მმართველებმა შეთავაზება არც მაშინ მიიღეს და ვერც შემდგომში მოახერხეს მათი დაყოლიება. [13]

მოგვიანებით ბრიტანელებმა სცადეს მათი კოლონიის - ინდოეთის საზღვრის ტიბეტთანაც მოგვარება. ამ მიზნით 1903 წელს ფრანსის იანჰასბენდის ხელმძღვანელობით სამხედრო ექსპედიცია გაიგზავნა ტიბეტის მთავარ ქალაქ ლჰასაში. მისი მისია იყო დაეცვა ბრიტანული კოლონიის, ინდოეთის დიპლომატიური და ეკონომიკური ინტერესები. [14] ცინგის დინასტიამ, იმისათვის რომ ბრიტანელებისთვის ეჩვენებინათ ტიბეტი მათი კონტროლის ქვეშ იყო, 1910 წელს გაგზავნეს 2 000 კაციანი სამხედრო ექსპედიცია ჟაო ერფენგის ხელმძღვანელობით. ჟაო ერფენგმა ლჰასა დაიკავა და მე-13 დალაი ლამა იძულებული გახდა ინდოეთში გაქცეულიყო. [15]

---

https://www.claws.in/india-china-border-dispute-the-mcmahon-line-and-tawang/

[11] Sino-Indian Border Dispute: A Brief Introduction. E-international Relations. last modified June 26, 2022
https://www.e-ir.info/2022/06/26/sino-indian-border-dispute-a-brief-introduction/

[12] Banerjee. Sino-Indian Border Dispute, 160.

[13] Banerjee. Sino-Indian Border Dispute, 160-161.

[14] Sino-Indian Border Dispute.

[15] Sino-Indian Border Dispute:

დიდმა ბრიტანეთმა, როგორც კი გააცნობიერა ჩინეთიდან მომავალი საფრთხე, პირველად გასცა ბრძანება ჩატარებულიყო ტომობრივი ტერიტორიების მასშტაბის დასადგენი კვლევა, რათა ასამ ჰიმალაი ტერიტორია ბრიტანეთის იურისდიქციის ქვეშ მოექცია. 1911 წელს ჩინეთში მომხდარმა სინჰაის რევოლუციამ, ბრიტანელებს გარკვეულწილად შეუმსუბუქა პრობლემა. თუმცა რევოლუციის შედეგად ქვეყნის სათავეში მოსული ახალი მთავრობაც მტკიცედ იცავდა საკუთარ პრეტენზიებს ტიბეტზე.

ტიბეტი, რომელიც ნახევრად დამოუკიდებელი იყო, ჩინეთის იმპერიაზე მეტად, დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. ბრიტანეთს სურდა რუსული გავლენის პრობლემა საბოლოოდ მოეშორებინა ტიბეტისთვის და მხოლოდ მის გავლენებს დაექვემდებარებინა. ამიტომ, მათთვის უფრო მომგებიანი იყო, ტიბეტის ნაწილზე ჩინეთის სუზერენობის ცნობა.[16] ამ მიზნით, ბრიტანეთის მთავრობამ გამართა სამმხრივი კონფერენცია, რათა გადაწყვეტილიყო შიდა და გარე ტიბეტის აღმოსავლეთი საზღვრები, დადგენილიყო შიდა ტიბეტში ჩინეთის კონტროლის ხარისხი და მომხდარიყო ინდოეთ-ტიბეტის საზღვრის დადგენა.

1913 წლის ოქტომბერში, ინდოეთის ქალაქ სიმლაში სამმხრივი კონფერენცია გაიმართა. ჰენრი მაკ-მაჰონმა, რომელიც კონფერენციაზე ბრიტანულ ინტერესებს წარმოადგენდა, ტიბეტი დაყო ორ პირობით ზონად. „შიდა ტიბეტი“, რომელიც ჩინეთის სრული ადმინისტრაციული ავტონომიის ქვეშ იქნებოდა მოქცეული, ხოლო „გარე ტიბეტი“ დაემორჩილებოდა ტიბეტის მთავრობასა და ბრიტანეთ-ინდოეთს (ფართო ავტონომიური სტატუსით). ჩინელები, გარდა იმისა, რომ კონფერენციაში ტიბეტის თანაბარ წარმომადგენლობას აპროტესტებდნენ, ეწინააღმდეგებოდნენ შეთავაზებულ პირობებსა და საზღვრებს. ამიტომ არ დათანხმდნენ ბრიტანული გეგმას.[17]

მოლაპარაკებები, გაგრძელდა მომდევნო წელსაც. თუმცა ამჯერად ძირითადად ტიბეტსა და ბრიტანეთს შორის მიმდინარეობდა საკითხების განხილვა. მოლაპარაკებების შედეგად დადგინდა ინდოეთისა და ტავანგის ჩრდილოეთით 20 კმ-ში ტიბეტის ახალი საზღვარი. ჩინეთის წარმომადგენელი ჩენი უხალისოდ დათანხმდა რუკაზე მაკ-მაჰონის მიერ შედგენილ ხაზს. შეთანხმება დაიდო 1914 წლის 27 აპრილს. მართალია ჩენმა მოახდინა შეთანხმების პარაფირება, მაგრამ პროექტს ხელი არ მოაწერა, ხოლო 2 დღის შემდეგ ჩინეთის ხელისუფლებამაც ოფიციალურად უარყო შეთანხმება[18].

სიმლას კონფერენციამ ვერ უზრუნველყო ინდოეთ-ტიბეტის საზღვრის დადგენა. ვინაიდან ჩინეთის მთავრობამ არ მოახდინა ე.წ. „მაკ-მაჰონის ხაზის“ რატიფიცირება. დირანგისა და ტავანგის ტერიტორიები, მიუხედავად იმისა, რომ მაკ-მაჰონის ხაზის სამხრეთ ნაწილში მოექცა, მაინც ტიბეტის კონტროლის

[16] Sino-Indian Border Dispute. Unacademy. Accessed November 25, 2024, https://unacademy.com/content/railway-exam/study-material/static-gk/sino-indian-border-dispute/

[17] Release of CIA/rr gm 62-10, the Sino-Indian border dispute in the northeast frontier agency, November 1962, secret, to foreign governments. CIA. last modified – November 16. 1962 https://www.cia.gov/readingroom/document/cia-rdp79-01006a000100320001-1

[18] The McMahon Line and Tawang.

ქვეშ დარჩა. 1938 წელს ასამის მთავრობამ სცადა ტავანგის ოკუპაცია, მაგრამ ლჰასას სასტიკი პროტესტის გამო უკან დახევა მოუწია. [19]

1917 წელს, რუსეთში მომხდარი რევოლუციის შემდეგ, ბრიტანელებისთვის ინდოეთის ოკეანისკენ რუსული წინსვლის საფრთხე მოიხსნა. ამიტომ სასაზღვრო საკითხის განხილვას აღარ დაბრუნებიან. 1947 წელს, როდესაც ბრიტანელებმა დატოვეს ინდოეთი, არ დაუტოვებიათ მკაფიო განმარტება, თუ რეალურად სად გადიოდა ინდოეთის საზღვარი. მსგავსი გაურკვევლობა დატოვეს აღმოსავლეთ სექტორთან მიმართებაშიც. მანამდე, ბრიტანელები კმაყოფილები იყვნენ ბრაჰმამუტრას დაბლობების დაკავებით, რადგან მათთვის მთებს არც კომერციული და არც სტრატეგიული მნიშვნელობა არ ჰქონდა. ერთადერთი რაც გააკეთეს, საკუთარი მართვის ერთგვარი საზღვრის დასადგენად, მთისწინეთი დაყოფილი ჰქონდათ გარე და შიდა ხაზებით. გარე ხაზი წარმოადგენდა ბრიტანეთის იმპერიის გარე ტერიტორიულ საზღვარს, ხოლო შიდა ხაზი უფრო პირობითი იყო. მისი გადაკვეთა ნებართვის გარეშე აკრძალული იყო.

ინდოეთსა და ჩინეთს შორის სასაზღვრო დავა 1950-იან წლებში გააქტიურდა, როდესაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ტიბეტზე კონტროლი დაამყარა. [20] მაშინდელი ინდოეთის პოლიტიკური ელიტა, ტიბეტის ჩინეთის საზღვრებში მოქცევას დიდი შეშფოთებით შეხვდა. ინდოეთის ვიცე-პრემიერ მინისტრმა, რომელიც იმავე დროს შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობასაც იკავებდა, სარდარ ვალაბჰბაი პეტელმა და ბომბეის გუბერნატორმა გირიჯა შანკარ ბაჯპაიმ პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს მთავრობას მოუწოდეს გაეძლიერებინათ სამხედრო და ადმინისტრაციული კონტროლი ჩინეთთან საზღვრის გასწვრივ რეგიონებში. [21]

მიუხედავად მათი მოწოდებისა, პრემიერ-მინისტრი ნერუ და ინდოეთის ელჩი ჩინეთში, პანიკარი სიფრთხილით მოეკიდნენ ჩინეთთან ურთიერთობის შესაძლო გამწვავებას. მათ მიიჩნიეს, რომ სამოქალაქო ომში გამობრძმედილ ჩინეთის სახალხო არმიასთან საბრძოლო შეტაკება, მათთვის არ იქნებოდა მომგებიანი. ამიტომ კონფლიქტის არიდების მიზნით გადაწყვიტეს, რომ ინდოეთი აქტიურად არ განახორციელებდა სასაზღვრის საკითხის მოგვარებას. თუმცა იმავდროულად განაცხადეს, რომ ე. წ. „მაკმაჰონის ხაზი“ წარმოადგენდა ინდოეთსა და ჩინეთს შორის საზღვარს. [22] გარდა ამისა, იმისათვის, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შესაძლო გაღიზიანება აერიდებინათ თავიდან, ინდოეთმა 1952 წელს, ოფიციალურად ცნო ტიბეტზე ჩინეთის სუვერენიტეტი. [23]

უნდა აღინიშნოს, რომ თავის მხრივ, არც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არ იყო დაინტერესებული ინდოეთთან სასაზღვრო საკითხის გამწვავებით, ვინაიდან იმ პერიოდში, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები ჰქონდათ გადასაჭრელი. ხელისუფლების სათავეში ახლად მოსული კომუნისტური რეჟიმი, ძირითადად დაკავებული იყო საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებით. პეკინს უწევდა მოეგვარებინა ქვეყანაში გამეფებული სიღარიბის პრობლემა, აგრარული კრიზისი

---

[19] Banerjee. Sino-Indian Border Dispute, 162.

[20] Stephen Westcott. The intractable Sino-Indian border dispute: A theoretical and historical account (PhD Diss.) Murdoch University, 2017, - 74 გვ.

[21] Banerjee. Sino-Indian Border Dispute. 159.

[22] Sino-Indian Border Dispute

[23] Handling the India-China Border Dispute.

და სხვა შიდა პოლიტიკური საკითხები. ასევე აწუხებდათ შეერთებული შტატების ჩინეთში შეჭრის შიში და ტაივანზე გახიზნული ჩინეთის რესპუბლიკის ნაციონალისტური მთავრობის უკან დაბრუნების საფრთხე. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საზღვრების საკითხის დროებით, უკანა პლანზე გადაწევა, მანამ სანამ ქვეყანა კარგად არ მოემზადებოდა მის მოსაგვარებლად.[24]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ, ტიბეტზე კონტროლის აღდგენა იყო მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც დამატებით ხელი შეუწყო სასაზღვრო დავის წარმოქმნას. 1950 წელს ჩინეთმა სამხედრო ძალის გამოყენებით დაიმორჩილა ტიბეტი. პეკინის ამ ნაბიჯმა გამოიწვია მასობრივი საზოგადოებრივი პროტესტი ინდოეთში, რადგან აღიქვეს, როგორც ინდოეთისკენ მიმართულ პოტენციურ საფრთხედ. ამასთანავე ინდოეთის მაშინდელი პრემიერ-მინისტრ ნერუს მცდელობები, ეთამაშა შუამავლის როლი ლჰასასა და პეკინს შორის, ჩინეთში მიიჩნიეს, როგორც მათ საშინაო საქმეებში ჩარევის მცდელობად.

1954 წელს დაიდო ჩინეთ-ინდოეთის შეთანხმება (ცნობილია „პანჩშილის შეთანახმების სახელით), რომელიც არეგულირებდა ინდოეთის ურთიერთობებს ტიბეტთან. ნიუ-დელიმ ტიბეტი აღიარა ჩინეთის შემადგენელ ნაწილად და დაკარგა ბრიტანეთისგან მემკვიდრეობით მიღებული უფლებები, რომლებიც ინდოეთს პრივილეგიას ანიჭებდა ევაჭრა ლჰასასთან და უვიზოდ ჰქონოდა ქვეყანაში შესვლის უფლება. მეცნიერთა ნაწილი ნერუს აკრიტიკებდა იმის გამო, რომ მან მოლაპარაკების დროს არ გაარკვია ტიბეტთან არსებული ინდოეთის საზღვარი. მათი აზრით, ვიდრე საზღვრის დადგენა არ მოხდებოდა, არ უნდა დათანხმებულიყვნენ პეკინისთვის ტიბეტის დათმობას. [25]

„პანჩშილის შეთანხმებამ“ ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები გარკვეულ წილად განმუხტა, თუმცა ორივე მხარეს ერთმანეთის მიმართ კვლავ დიდი უნდობლობა გააჩნდათ. მათ ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა. მაგ. ინდურ მხარეს არ მოსწონდა, რომ პეკინი აქტიურად ანხორციელებდა ტიბეტის იძულებით ჩინეთიზაციას. [26] ხოლო ჩინურ მხარეს ეჭვი ჰქონდა ინდოეთი ფარულად ეხმარებოდა ტიბეტს ჩინეთის საწინააღმდეგო მოქმედებების განხორციელებაში. ურთიერთობაში დამატებითი ბზარი შეიტანა, „პანჩშილის შეთანხმების“ შემდეგ, ინდოეთში გამოქვეყნებულმა რუკებმა, სადაც ტიბეტის საზღვრებიც იყო გამოსახული. პეკინის გულისწყრომა გამოიწვია იმ ფაქტმაც, რომ რუკაზე ასევე შეტანილი იყო ლადახის რეგიონში არსებული აქსაი ჩინი, რომელიც ჩინელებს საკუთარ ტერიტორიად მიაჩნდათ. [27]

1956 წელს ჩინეთმა ტიბეტსა და სინძიანის პროვინციების დასაკავშირებლად დაიწყო 1 200 კმ. სიგრძის ავტო-მაგისტრალის მშენებლობა. გზის 179 კმ-იანი მონაკვეთი გადიოდა ჯონსონის ხაზის სამხრეთით, აქსაი ჩინში. [28] ინდოეთის

[24] Sino-Indian Border Dispute

[25] The boundary dispute with China. Accessed November 25, 2024, https://www.india-seminar.com/2008/584/584 srinath_raghavan.htm

[26] Handling the India-China Border Dispute.

[27] Handling the India-China Border Dispute.

[28] TIMELINE - Clashes, standoffs between Chinese and Indian armies. last modified June 16, 2020, https://www.aa.com.tr/en/asia-pacific/timeline-clashes-standoffs-between-chinese-and-indian-armies/1879115

მთავრობამ სადავო ტერიტორიაზე გზის მშენებლობის გამო, მხოლოდ 1958 წელს გაუგზავნეს პეკინს ოფიციალური საპროტესტო წერილი. ჩინეთმა ინდური მხარის პრეტენზიების საპასუხოდ, მოითხოვა არა მხოლოდ აქსაი ჩინზე კონტროლი, არამედ მის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთში არსებული ტერიტორიებზეც. მეტიც, ჩინელებმა საერთოდ უარი განაცხადეს მაკ-მაჰონის სასაზღვრო ხაზის აღიარებაზე.[29]

1959 წელს, ტიბეტში დამოუკიდებლობის მოთხოვნით ანტი-ჩინურმა აჯანყებამ იფეთქა, რის გამოც ჩინეთ-ინდოეთს შორის არსებული ორმხრივი უნდობლობისა და ეჭვის საფუძვლები კიდევ უფრო გამყარდა. აჯანყების დაწყებისთანავე ჩინეთმა ინდოეთს ბრალი დასდო ძალადობის ფარულ წაქეზებაში. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო განმათავისუფლებელმა არმიამ (სგა) მალევე ჩაახშო ტიბეტელთა აჯანყება. მე-14 დალაი ლამას ინდოეთში გაქცევამ და მისთვის პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭებამ პეკინის გაღიზიანება გამოიწვია. [30] ჩინეთის კომუნისტურ რეჟიმს გაუმყარდა ეჭვი, რომ ტიბეტის აჯანყებაში ინდოეთის ხელიც ერია. მათი მოსაზრებით, ინდოეთი ტიბეტელებს ამბოხში იმ მიზნით ეხმარებოდა, რომ მოგვიანებით ჩინეთი აეძულებინა დათანხმებოდნენ ინდოეთის ტერიტორიული პრეტენზიებს.[31] ამის გამო, პეკინმა მწვავედ გააკრიტიკა ნერუ და ტიბეტში იმპერიული პოლიტიკის გაგრძელებაში დაადანაშაულა. ბრალდებამ ნიუ-დელიში გააჩინა შიში, რომ ჩინეთს შესაძლოა ეცადა სადავო ტერიტორიების სამხედრო ძალით დაბრუნება.

მალე პოლიტიკური დაძაბულობა სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდა. „სგა“ და ინდოეთის არმიები ერთმანეთის პირისპირ განლაგდნენ (ძირითადად აღმოსავლეთ სექტორში). 1959 წლის აგვისტოში ლონგჯუში მხარეებმა პირველად გაუხსნეს ერთმანეთს ცეცხლი. სამხედრო ესკალაციამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ურთიერთობებში. სექტემბერში ჩინეთის პრემიერ-მინისტრ ჭოუ ენლაისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს შორის წერილების გაცვლამ აჩვენა, თუ რაოდენ დიდი დაპირისპირება არსებობდა სასაზღვრო დავასთან დაკავშირებით. ჩინეთმა უარი განაცხადა ეღიარებინა მაკ-მაჰონის ხაზი და ინდოეთის მთავრობა ჩინეთზე ზეწოლაში დაადანაშაულა. ნერუმ კი განაცხადა, რომ მოითხოვდა ჩინეთის შეიარაღებული ძალები გაეყვანათ ინდოეთის კუთვნილ ტერიტორიებიდან. მოლაპარაკებებს მხოლოდ ამ პირობების შესრულების შემდეგ ექნებოდა აზრი. მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში, ქვეყნებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გაუარესდა, გაიზარდა შეტაკებების რაოდენობა და მსხვერპლი.

1960 წელს ჭოუ ენლაი ინდოეთს მოსალაპარაკებლად ეწვია. თუმცა სასაზღვრო დავისა და ტიბეტის საკითხის გამო წარმოქმნილი დაპირისპირებები, იმდენად იყო გაღრმავებული, რომ მოლაპარაკების დროს, მანევრირების საშუალება არც ერთ მხარეს არ დაუტოვა. ჭოუსა და ნერუს შორის მოლაპარაკებები ხუთ დღეს გაგრძელდა და შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა. ჩინეთის პრემიერის შეთავაზება ერთგვარ ტერიტორიულ გაცვლას გულისხმობდა. დასავლეთ სექტორი, რომელიც დეფაქტოდ ისედაც ჩინური კონტროლის ქვეშ იყო, დარჩებოდა ჩინურ მხარს. შესაბამისად აქსაი ჩინის გარშემო დავაც მოიხსნებოდა. რაც შეეხება

[29] The boundary dispute with China.
[30] Understanding Sino-Indian Relation
[31] Handling the India-China Border Dispute.

აღმოსავლეთ სექტორს, პეკინი მასზე აღიარებდა ნიუ-დელის სუვერენიტეტს და პირობას დებდა, რომ აღარ განაცხადებდა პრეტენზიას არუნაჩალ პრადეშზე [32]. ნერუმ უარყო ჭოუ ენლაის შეთავაზება. უარის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ შიდა საზოგადოებრივი ფაქტორები და უნდობლობა ჩინეთის მიმართ. გარდა ამისა, მისთვის ლადახში არსებული საზღვარი ტრადიციულად ძველი იყო, ხოლო აღმოსავლეთ სექტორი, ისედაც დადასტურებული იყო მაკ-მაჰონის ხაზით.[33]

ინდოელი მკვლევარი მაიური ბანერჯეს მოსაზრებით, ჩინეთიც და ინდოეთიც მძიმედ განიცდიდნენ ე. წ. „პოსტ-კოლონიურ სინდრომს“. ორივე მხარე ცდილობდა თავი მსხვერპლად წარმოეჩინა. ჭოუ ენლაიც და ინდოელი ლიდერებიც დაჟინებით მოითხოვდნენ მათ, როგორც მსხვერპლად აღიარებას და ამ გზით სადავო ტერიტორიების მიღებას, როგორც თავიანთი ქვეყნების ისტორიულ, განუყოფელი ნაწილებად. ჩინეთის პრემიერ-მინისტრი ამტკიცებდა, რომ ცინგის დინასტიიდან მოყოლებული, ტიბეტი ჩინეთის განუყოფელი ნაწილი იყო. 1904 წელს ინდოეთის ბრიტანული მთავრობასა და ტიბეტს შორის დადებული „ანგლო-ტიბეტის შეთანხმებითა“ და „სიმლას კონვენციით“, ბრიტანეთი ტიბეტის პროტექტორი გახდა და მაკ-მაჰონის ხაზით ერთგვარი საზღვარი განისაზღვრა. რეგიონი იმ დროს ჩინეთის პროვინციის სინძიანის იურისდიქციის ქვეშ იყო. ინდური მხარის მტკიცებით ბრიტანეთმა მხოლოდ ოფიციალურად დაადგინა საზღვარი, რაც მანამდე საუკუნეების მანძილზე ისედაც არსებობდა. ხოლო მაკ-მაჰონის ხაზმა უბრალოდ დაადგინა ის საზღვარი, რომელსაც ინდოელი მმართველები ჯერ კიდევ ქრისტიანულ ეპოქამდე მართავდნენ. [34]

ჩაშლილი მოლაპარაკებების შემდეგ, ინდოეთის მთავრობამ გადაწყვიტა ჯარი შეეყვანა აღმოსავლეთ სექტორში. სამხედრო ნაწილები განალაგა მაკ-მაჰონის ხაზის სამხრეთით და იქ მყოფ ჩინელ ჯარისკაცებს, ჩრდილოეთში გაბრუნება აიძულა. მოგვიანებით განაცხადეს, რომ ამ ნაბიჯებით, უზრუნველყვეს დაახლოებით 3 500 კმ² ხელში ჩაგდება. ამ განცხადებამ გააღიზიანა ჩინეთის ხელისუფლება. მათ გაუჩნდათ ეჭვი, რომ ინდოეთი დასავლეთ სექტორშიც აპირებდა აქსაი ჩინის ძალადობრივი გზით ხელში ჩაგდებას. [35]

ამის გამო, 1962 წლის 20 ოქტომბერს „სგა-მ“ მთელ სადავო საზღვარზე, აქსაი ჩინიდან დაწყებული, არუნაჩალ პრადეშის რეგიონამდე შეუტია ინდურ პოზიციებს და ომი დაიწყო. ჩინური არმიის სწრაფი იერიში წარმატებული აღმოჩნდა და დაახლოებით ერთ თვეში, ინდური ჯარის გამანადგურებელი მარცხით დასრულდა.[36] წარმატებული იერიშიდან რამდენიმე დღეში, 24 ოქტომბერს ჭოუ ენლაიმ წერილი მოსალაპარაკებლად ნერუს წერილი გაუგზავნა. ჩინური მხარე თვლიდა რომ ინდოეთი უკვე საკმარისად იყო დასჯილი. ნერუმ დამოუკიდებლად პასუხის არ გასცა და 8 ნოემბერს ინდოეთის პარლამენტს სთხოვა განეხილა შემოთავაზება. პარლამენტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია საზღვრის საკითხზე მოლაპარაკების გამართვა. [37]

---

[32] Handling the India-China Border Dispute.
[33] Handling the India-China Border Dispute.
[34] Sino-Indian Border Dispute.
[35] Handling the India-China Border Dispute.
[36] Sino-Indian Border Dispute
[37] Westcott. The intractable Sino-Indian border dispute, 88.

14 ნოემბერს, ინდურმა ჯარმა სცადა ვალონგში კონტრ-შეტევა დაეწყო, თუმცა ჩინელებმა წარმატებით მოიგერიეს მათი იერიში და საპასუხო შეტევით ინდოელებს მთლიანად აღმოსავლეთ სექტორი დაატოვებინეს. ჩინელებს შედარებით ძლიერი წინააღმდეგობა შეხვდათ დასავლეთ სექტორში, თუმცა საბოლოოდ იქაც უკან დაახევინეს ინდოელებს. 21 ნოემბერს ჩინეთის ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ დასახულ მიზანს უკვე მიაღწიეს და ცალმხრივად გამოაცხადეს ცეცხლის შეწყვეტა. მათი განცხადებით 1 დეკემბრამდე, სგა მაკ-მაჰონის ხაზის ჩრდილოეთით განლაგდებოდა და შეიქმნებოდა 20 კმ-იანი ბუფერული ზონა. ამასთან ნიუ-დელი გააფრთხილეს, რომ აღარ ეფიქრათ შეტევაზე, რადგან ჩინური პასუხი ბევრად უფრო მკაცრი იქნებოდა. ინდური მხარეს ომის გაგრძელების ძალა აღარ შესწევდა, ამიტომ უხალისოდ დათანხმდნენ წაყენებულ ულტიმატუმს. [38]

1962 წლის ჩინეთ-ინდოეთის სისხლისმღვრელ ომში, ინდოეთმა მოკლულების სახით 4 885 ჯარისკაცი დაკარგა, ხოლო 3 968 ტყვედ ჩავარდა. ჩინური მხარის მსხვერპლი მხოლოდ 722 სამხედრო იყო. [39] როგორც მოსალოდნელი იყო, ომმა ვერ უზრუნველყო სასაზღვრო დავის საბოლოო გადაწყვეტა. მას შემდეგ სასაზღვრო საკითხთან დაკავშირებული მუდმივად გრძელდება პოლიტიკური მოლაპარაკებები, რომელსაც პერიოდულად თან ახლავს სხვადასხვა სირთულის კრიზისები და შეტაკებები.

1967 წელს მორიგი კრიზისული ვითარება შეიქმნა. გავრცელებული ინფორმაციით, ჰიმალაის მიდამოებში აღმოსავლეთ სიკიმის შტატში ჩინური სამხედრო შენაერთი, თავს დაესხა ერთ-ერთ ინდურ პოსტს. [40] ინდოეთმა ასევე ბრალი დასდო ჩინეთს, რომ 1975 წლის 20 ოქტომბერს, მათი ჯარისკაცები შეიპარნენ არუნაჩალ პრადეშში ინდოეთის კონტროლირებად ტერიტორიაზე და 4 ინდოელი ჯარისკაცი მოკლეს. [41]

1979 წელს ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ატალ ბიჰარი ვაჯპაი ეწვია ჩინეთს, რამაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო ორმხრივ ურთიერთობებში არსებული დაძაბულობის განმუხტვას. 1980-იან წლებში სასაზღვრო დავის მოგვარებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები დაიწყო. თუმცა პარალელურად კვლავ გრძელდება შეტაკებები.

1987 წელს ტავანგის რაიონში, მდინარე სუმდორონგ ჩუს ხეობაში (ჩინ. ვანგდუნგი), დაიწყო ჩინეთ-ინდოეთის მესამე კრიზისი, რომელიც 8 თვეს გაგრძელდა[42]. 1986 წელს, ზაფხულში ინდოელმა ჯარისკაცებმა აღმოაჩინეს ჩინელ ჯარისკაცთა ჯგუფი, რომელიც აშენებდა მუდმივმოქმედ სამხედრო პუნქტს. ინდოეთმა პროტესტი გაუგზავნა პეკინს, რომელმაც უარყო ინდურ ტერიტორიაზე შეჭრა. თუმცა დაძაბულობის კერაში 200 სამხედრო დამატებით გაგზავნა, ასევე მოაწყეს ვერტმფრენის დასაფრენი მოედანი. ამ ნაბიჯებმა სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა. საკითხის მოგვარების მიზნით, ინდოეთმა პეკინს შესთავაზა, რომ თუ ჩინეთიც გაიყვანდა საკუთარ შენაერთებს, აღნიშნულ ტერიტორიაზე ინდოეთი არ განათავსებდა ჯარს. ჩინეთმა შეთავაზება უარყო, ამიტომ სიტუაციის უკეთ

[38] Westcott. The intractable Sino-Indian border dispute, 88.
[39] Westcott. The intractable Sino-Indian border dispute, 89.
[40] Clashes, standoffs between Chinese and Indian armies.
[41] Sino-Indian Border Dispute. Unacademy.
[42] Sino-Indian Border Dispute. Unacademy.

კონტროლის მიზნით ინდოეთმა სამხედრო ბრიგადა გადაისროლა. [43] საპასუხოდ ჩინეთის პრემიერ-მინისტრი დენ სიაოპინგი ინდოეთს დაემუქრა, რომ ისეთივე გაკვეთილს ჩაუტარებდნენ, როგორც 1962 წლის ომის დროს მოხდა.

1987 წლის ზაფხულში, ჩინეთმა 20 000 ჯარისკაცი გადაისროლა კონფლიქტის ზონაში. ინდოეთმაც თანაზომიერად უპასუხა და მანაც დამატებითი სამხედრო ნაწილები განალაგა ხეობაში, ასევე სამხედრო-საჰაერო ძალები განთავსდნენ ჩრდილოეთ ბენგალსა და ასამში. ამ ტაქტიკით ინდოეთმა პოზიციური უპირატესობა მოიპოვა, რომლის გამოც ჩინეთი დათანხმდა პრობლემის გადაჭრის მიზნით მოლაპარაკების დაწყებას და ინდოეთის პრემიერ-მინისტრი რაჯივ განდი მოლაპარაკებებზე მიიწვია.

1988 წლის 19-24 დეკემბერს განდიმ მოლაპარაკება გამართა ჩინელებთან. მისი მიზანი იყო კონფლიქტის დარეგულირება და კონფლიქტამდე არსებული სტატუს-ქვოს აღდგენა. მან პირველ რიგში კვლავ აღიარა ტიბეტი, როგორც ჩინეთის განუყოფელ ნაწილად. ასევე განაცხადა რომ სადავო საკითხები მოლაპარაკების გზით უნდა გადაჭრილიყო და არ უნდა დალოდებოდნენ ჩინეთ-ინდოეთის ურთიერთოების გაუმჯობესებას. [44] მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ საზღვრის კონფლიქტურ ზონაში შექმნილიყო ერთობლივი სამუშაო ჯგუფი (Joint Working Group - JWG). შედეგად, ორივე მხარემ ჯარის დიდი ნაწილი გაიყვანა ხეობიდან და დაძაბულობა შემცირდა.[45] უნდა აღინიშნოს, რომ მისმა ძალისხმევა საფუძველი ჩაუყარა სამომავლოდ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრის მექანიზმების შექმნას[46]

1993 წელს, 8 სექტემბერს პეკინში ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნარასიმჰა რაოს სტუმრობის დროს, ქვეყნის ლიდერებმა მოაწერეს ხელი „მშვიდობისა და სიმშვიდის შენარჩუნების შესახებ შეთანხმებას“. შეთანხმების მიხედვით მხარეები უარს ამბობდნენ ძალის გამოყენებაზე, ასევე აღიარებდნენ LAC-ში არსებულ რეალობას და ურთიერთ პატივისცემას. სადავო საზღვრის მონაკვეთებზე არსებული გაუგებრობები, მხოლოდ მოლაპარაკებების გზით უნდა გადაწყვეტილიყო. აღსანიშნავია რომ ტერმინი „LAC“, პირველ სწორედ მაშინ იქნა შემოტანილი.[47] შეთანხმების შედეგად ორი წლის შემდეგ, 1995 წლის აგვისტოში, როგორც იქნა დასრულდა დაპირისპირება სუმდორონგ ჩუში.

1996 წლის 29 ნოემბერს, LAC-ის გასწვრივ სამხედრო სფეროში ნდობის აღდგენის მიზნით 12 პუნქტიან შეთანხმებას ხელი მოეწერა. შეთანხმების მთავარი სულისკვეთება სამომავლოდ სამხედრო კონფლიქტის თავიდან არიდება იყო. მაგ. სადავო სასაზღვრო რეგიონებში თავი უნდა აერიდებინათ ისეთი სამხედრო წვრთნების გამართვისაგან, სადაც 1 დივიზიაზე (15 000 ჯარისკაცი) მეტი

---

[43] India-China tension: Sumdorong Chu military standoff that took 9 years to defuse. India Today. last modified September 14, 2020.
https://www.indiatoday.in/india/story/india-china-tension-sumdorong-chu-military-standoff-that-took-9-years-to-defuse-1721734-2020-09-14

[44] Westcott. The intractable Sino-Indian border dispute, 150.

[45] India-China tension.

[46] Westcott. The intractable Sino-Indian border dispute, 150.

[47] India-China Border Agreements. United Service Institution of India.
Accessed November 25, 2024,
https://www.usiofindia.org/publication-journal/india-china-border-agreements.html

მონაწილეობდა. ხოლო იმ შემთხვევაში თუ 1 ბრიგადაზე (5 000 ჯარიკაცი) მეტი მონაწილეობდა, მეორე მხარეს წინასწარ უნდა ცნობებოდა. ასევე იკრძალებოდა ცეცხლსასროლი იარაღის, ფეთქებადი მასალების, სახიფათო ქიმიკატებისა და ა.შ. გამოყენება. [48] მნიშვნელოვანია, რომ ჩინეთ-ინდოეთის სასაზღვრო მოლაპარაკებების კონტექსტში, ორივე ქვეყანამ საბოლოოდ აღიარა სასაზღვრო რეგიონებში გარკვეული პრობლემების არსებობა და საჭიროდ მიიჩნია ამ პრობლემების მართვის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა.

2003 წლის 23 ივნისს, ჩინეთმა და ინდოეთმა მიიღეს დეკლარაცია „ინდოეთსა და ჩინეთს შორის ურთიერთობებისა და ყოვლისმომცველი თანამშრომლობის პრინციპების შესახებ“, სადაც მხარეები შეთანხმდნენ სასაზღვრო დავის მოგვარების გზების მოძიების მიზნით დანიშნულიყო სპეციალური წარმომადგენლები. ბოლო წლების განმავლობაში და სპეციალური წარმომადგენლების მოლაპარაკებების შედეგად ორმა ქვეყანამ მიაღწია ფართო კონსესუსს სასაზღვრო დავის მოგვარების სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბებაზე. 2012 წელს ინდოეთ-ჩინეთის სასაზღვრო საკითხებზე კონსულტაციებისა და კოორდინაციის სამუშაო მექანიზმის სახით, სპეციალური წარმომადგენლების მოლაპარაკებებში ჩართულობის მხარდამჭერი მექანიზმი შეიქმნა. ამ აპარატს სპეციალურად დაევალა სასაზღვრო რეგიონებში დაძაბულობის შედეგად წარმოქმნილი საკითხების მოგვარება და მართვა.[49]

მიუხედავად იმისა, რომ XXI საუკენის დასაწყისში, ინდოეთსა და ჩინეთს შორის ურთიერთობები გაუმჯობესდა და სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრის მექანიზმები გამოჩნდა, ჩინეთ-ინდოეთის საზღვარი მაინც ერთ-ერთ დაძაბულ კერად დარჩა. მაგ. 2005 წელს პეკინმა თითქოს მიანიშნა ნიუ-დელის რომ არუნაჩალ პრადეშზე და ტავინგზე მას შესაძლოა პრეტენზიები აღარ ჰქონოდა. თუმცა სიტუაცია შეიცვალა 2007 წლიდან, როდესაც ჩინურ მედიაში, ზემოთ აღნიშნულ რეგიონების, როგორც სამხრეთ ტიბეტად მოიხსენიება დაიწყეს. [50]

თანამედროვე მდგომარეობა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სათავეში სი ძინპინგის მოსვლის შემდეგ, ურთიერთოები კიდევ უფრო დაიძაბა, რომელიც პერიოდულად კონფლიქტში გადადის. 2013 წელს მოხდა დაულათ ბეგ ოლდის ინციდენტი, რომელიც მთელი თვე გაგრძელდა. 2014 წლიდან მკვეთრად მოიმატა მცირე ინცინდენტების რაოდენობამ, რომლიც ინდური მხარის მტკიცებით ძირითადად გამოწვეული იყო ჩინელი ჯარისკაცების მხრიდან აგრესული გადაადგილების გამო. მაგალითად, თუ 2014 წელს ასეთი 334 შემთხვევა დაფიქსირდა, 2019 წელს 606 ასეთი ინციდენტი აღირიცხა. 2017 წელს, მოხდა დოკლამის ინციდენტი, რომელიც მძიმე სამხედრო შეტაკებში გადაიზრდა და 70 დღე გაგრძელდა.

2020 წლის 15 ივნისს ლადახთან ახლოს მდებარე გალვანის ხეობაში მოხდა შეტაკება. ვინაიდან ორ ქვეყანას შორის არსებული შეთანხმებით, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება აკრძალულია, დაპირისპირებული მხარეები კეტებით შეიარაღებულები ჩაერთვნენ ხელჩართულ ბრძოლაში, რის შედეგადაც დაიღუპა 20

[48] India-China Border Agreements.
[49] India-China Border Agreements.
[50] Handling the India-China Border Dispute.

ინდოელი ჯარისკაცი და 4 ჩინელი ჯარისკაცი [51] (ჩინური მხარის დანაკარგების რაოდენობა დაუზუსტებელია, თუმცა მათი განცხადებით მხოლოდ 4 დაკარგეს, მაგრამ ვარაუდია, რომ რეალურად ბევრად მეტი ჩინელი ჯარისკაცი დაიღუპა). ლოკალური კონფლიქტი სწრაფად გადაიზარდა სრულ მასშტაბიანი კრიზისში. გალვანის მიდამოებში ორივე მხარემ სწრაფად განათავსა დამატებითი ჯარები, სარაკეტო გამშვებები და სამხედრო ვერტმფრენები. მხარეებს შორის დაპირისპირება, ლამის ინდოეთ-ჩინეთის ახალ ომში გადაიზარდა. შემდგომი ესკალაცია თავიდან აცილებულ იქნა პოლიტიკური და სამხედრო ოფიციალური პირების დროული ჩარევით. დაპირისპირებულმა მხარეებმა გალვანიდან გაიყვანეს სამხედრო ნაწილები და შექმნეს 1.5 კმ.-იანი ბუფერული ზონა.[52]

2021 წელს ჩინეთის საკანონმდებლო ორგანომ მიიღო კანონი სახმელეთო საზღვრების დაცვის შესახებ, რომლის მიხედვით „სახელმწიფო ხელს შეუწყობს კოორდინაციას საზღვრის დაცვასა და სოციალურ, ეკონომიკურ განვითარებას შორის სასაზღვრო ზონებში“. ამ მანდატის შესაბამისად, ინდოეთის სადავო საზღვართან ახლოს ჩინეთმა ააშენა მნიშვნელოვანი სამოქალაქო და სამხედრო ინფრასტრუქტურა. არუნაჩალ პრადეშის რეგიონში გაიყვანა გვირაბები, რათა საჭიროების შემთხვევაში მარტივად მოხერხდეს ტრანსპორტირება[53].

საპასუხოდ ინდოეთმა 2021 წელს 50 000 ჯარისკაცი განალაგა სადავო საზღვრის გასწრივ და სამხედრო-საჰაერო ძალები განათავსო მათ სიახლოვეს. გარდა ამისა, წამოიწყო კამპანია სადავო ტერიტორიებზე ინდოელი მოსახლეობის რაოდენობის გაზრდის შესახებ, სწორედ მიზნით აქტიურად აშენებს სოფლებს [54].

ჩინეთში სი ძინპინგისა და ინდოეთში ნარენდრა მოდის ხელისუფლებაში მოსვლამ გააჩინა სასაზღვრო დავის საბოლოო გადაწყვეტის იმედი. თუმცა, შიდა პოლიტიკური მოსაზრებები და სტრატეგიული საფრთხის აღქმა კვლავ ძლიერ ზღუდავს დადებითი შედეგის მიღწევას. გარდა ამისა, ორ ქვეყანას შორის რეგიონული ლიდერობის მოპოვებისკენ სწრაფვა, დამატებითი ხელს უშლის სასაზღვრო დავის მშვიდობიანი გზით გადაჭრას. მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებების შედეგად გარკვეულ წილად მოგვარდა საზღვრის მართვის საკითხები, მაინც არსებობს ქვეყნებს შორის დაპირისპირების შემთხვევები.

დასკვნა

ორი ბირთვული ძალისა და უზარმაზარი ეკონომიკების მქონე ქვეყნებს შორის არსებული სასაზღვრო დავის გადაწყვეტის მარტივი მეთოდი არ არსებობს. მართალია ჩინეთმა წარსულში აჩვენა, რომ მას შეუძლია გარკვეული დათმობებზე

---

[51] Sino-Indian boundary row: Caution in the face of optimism. Observer Research Foundation. last modified October 1, 2024
https://www.orfonline.org/expert-speak/sino-indian-boundary-row-caution-in-the-face-of-optimism

[52] Sino-Indian boundary row:

[53] Why We Should All Worry About the China-India Border Dispute. United States Institute of Peace. last modified May 31, 2023
https://www.usip.org/publications/2023/05/why-we-should-all-worry-about-china-india-border-dispute

[54] Worry About the China-India Border Dispute.

წასვლა, მაგრამ თანამედროვე ჩინეთში მსგავსი მიდგომა აღარ შეიმჩნევა. პირიქით, ჩინეთის ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს სადავო ტერიტორიები ყურადღების გარეშე არ დატოვოს და მათი დაბრუნების პირობებს დებს. ინდოეთთან არსებული სადავო ტერიტორიები, განსაკუთრებით დასავლეთ სექტორი, ჩინეთისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დერეფანია, ამიტომ ამ ნაწილში კომპრომისი ფაქტობრივად გამორიცხულად შესაძლოა ჩავთვალოთ.

ჩინეთის მსგავსად, ინდოეთისთვისაც მიუღებელია სადავო საკითხებში უკან დახევა. მის პოზიციებს ისტორიული წარსული და ბრიტანეთის კოლონიად ყოფნის პერიოდში დადგენილი საზღვრები ამყარებს. შთაბეჭდილება რჩება, რომ აღმოსავლეთ სექტორი მისთვის უფრო მნიშვნელოვანია, თუმცა პაკისტანთან ახლოს მდებარე სადავო ტერიტორია, ქაშმირთან სტრატეგიული სიახლოვის გამო, აქსაი ჩინის დათმობა წარმოუდგენლად მოჩანს. გარდა ამისა, სწრაფად მოძლიერებულ ინდოეთი, რეგიონში და ინდოეთის ოკეანის აუზში ლიდერობას ესწრაფვის. ამიტომ ძალიან აღიზიანებს ჩინური გავლენების ზრდა მის ისეთ უახლოეს სამეზობლოში, როგორიც არის თუნდაც შრი-ლანკა.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორები მცირე ჩამონათვალია, მთელი რიგი მიზეზებისა, რომელიც ვერ ორ ქვეყანას შორის ტერიტორიულ დავის მშვიდობიანი გზით მოგვარებას უშლის ხელს.

ბიბლიოგრაფია - Bibliography

Banerjee Mayuri. ‘’Sino-Indian Border Dispute: A Brief Introduction “. In *Asian Territorial and Maritime Disputes. E-International Relations*. Bristol, England, 2022.

Westcott Stephen. ‘’The intractable Sino-Indian border dispute: A theoretical and historical account” (PhD Diss.) Murdoch University, 2017.

ინტერნეტ რესურსები - Web resources

Anadolu Agency. Sino-Indian Border Dispute. Accessed November 25, 2024. https://unacademy.com/content/railway-exam/study-material/static-gk/sino-indian-border-dispute/

Centre for Land Warfare Studies (CLAWS). India-China Border Dispute: The McMahon Line and Tawang. last modified October 6, 2021 https://www.claws.in/india-china-border-dispute-the-mcmahon-line-and-tawang/

CIA. Country Comparisons – Population. November 24, 2024 https://www.cia.gov/the-world-factbook/field/population/country-comparison/

CIA. Release of CIA/rr gm 62-10, the Sino-Indian border dispute in the north east frontier agency, November 1962, secret, to foreign governments. last modified – November 16. 1962

https://www.cia.gov/readingroom/document/cia-rdp79-01006a000100320001-1
E-international Relations. Opinion – What Does the Sino-Indian Dispute Mean for Nepal? last modified August 2020. https://www.e-ir.info/2020/08/02/opinion-what-does-the-sino-indian-dispute-mean-for-nepal/
E-international Relations. Sino-Indian Border Dispute: A Brief Introduction. last modified June 26, 2022 https://www.e-ir.info/2022/06/26/sino-indian-border-dispute-a-brief-introduction/
Fondation pour la Recherche Strategique. China's use of drones in the Sino-Indian border dispute: a concrete example of civil-military integration. last modified July, 2023 https://www.frstrategie.org/sites/default/files/documents/publications/recherches-et-documents/2023/112023.pdf
Forbes India. The top 10 largest economies in the world in 2024. last modified. November 4, 2024 https://www.forbesindia.com/article/explainers/top-10-largest-economies-in-the-world/86159/1
India Today. India-China tension: Sumdorong Chu military standoff that took 9 years to defuse. last modified September 14, 2020
https://www.indiatoday.in/india/story/india-china-tension-sumdorong-chu-military-standoff-that-took-9-years-to-defuse-1721734-2020-09-14
International Crisis Group. Thin Ice in the Himalayas: Handling the India-China Border Dispute. last modified November 23, 2023
https://www.crisisgroup.org/asia/south-asia/india-china/334-thin-ice-himalayas-handling-india-china-border-dispute
Observer Research Foundation. Sino-Indian boundary row: Caution in the face of optimism. last modified October 1, 2024
https://www.orfonline.org/expert-speak/sino-indian-boundary-row-caution-in-the-face-of-optimism
The boundary dispute with China. Accessed November 25, 2024,
https://www.india-seminar.com/2008/584/584_srinath_raghavan.htm
The Center for International Maritime Security (CIMSEC). Byron Chong. Understanding Sino-Indian Relation – A Theoretical Perspective. https://cimsec.org/understanding-sino-indian-relations-theoretical-perspective/
The Diplomat. China-India Border Escalations: A Triangular Explanation. modified July 5, 2023, https://thediplomat.com/2023/07/china-india-border-escalations-a-triangular-explanation/
The Diplomat. What Does the Chinese Public Think of the China-India Border Patrol Deal? modified October 23, 2024, https://thediplomat.com/2024/10/what-does-the-chinese-public-think-of-the-china-india-border-patrol-deal/
TIMELINE - Clashes, standoffs between Chinese and Indian armies. last modified June 16, 2020 https://www.aa.com.tr/en/asia-pacific/timeline-clashes-standoffs-between-chinese-and-indian-armies/1879115

Unacademy. Sino-Indian Border Dispute. Accessed November 25, 2024, https://unacademy.com/content/railway-exam/study-material/static-gk/sino-indian-border-dispute/

United Service Institution of India. India-China Border Agreements. Accessed November 25, 2024, https://www.usiofindia.org/publication-journal/india-china-border-agreements.html

United States Institute of Peace. Why We Should All Worry About the China-India Border Dispute. last modified May 31, 2023
https://www.usip.org/publications/2023/05/why-we-should-all-worry-about-china-india-border-dispute